

პროექტის – „ჩემი ენა ქართული“ პრეზენტაცია

საქართველოში, 1990 წლიდან, 14 აპრილი დედაენის დღედაა გამოცხადებული. ამ დღის აღსანიშნავად, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მთ.სპეციალისტის, ახალგაზრდობის საკითხებში, ნინო ალადაშვილისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალისტის მარია პოპიაშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პროექტის - „ჩემი ენა ქართული“ პრეზენტაცია გაიმართა.



პროექტი სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლალა ჩოფიკაშვილმა და ლიკა ჯინაშვილმა წარადგინა.

ლონისძიებზე მონეულ ბავშვებს შორის ჩატარდა აქტივობა კალიგრაფიაში. გამოვლინდნენ გამარჯვებულები: მარიამ ჩუხრუკიძე და ლიზა ხუციშვილი.

დასასრულს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა მადლობა გადაუხადა ლონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს შინაარსიანი და ამომწურავი ინფორმაციისათვის და ისაუბრა ქართული ენის მნიშვნელობაზე.



ცენტრის დირექტორის მოადგილე გაგა პატარაშვილმა მონაწილე ბავშვებს გადასცა სიგელები, აქტიური მონაწილეობისთვის. ლონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და ცენტრის თანამშრომლები.

სასხი ჩამოენერებათ

ირაკლი კობახიძე: ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის ინდივიდუალურ მენარმეებს სრულად ჩამოენერებათ 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება მათზე დარიცხული საურავების ჩათვლით.

როგორც კი მივიღებთ ამ კანონპროექტს 145 ათას ფიზიკურ პირს სრულად ჩამოენერება ჯამში 590 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება. შესაბამისად, 145 ათას ჩვენს თანამოქალაქეს საშუალება ექნება, აქტიურად ჩაერთოს ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ეკონომიკის განვითარებასაც წაადგება.

სასწავლო ცენტრის გახსნა იგეგმება

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს შეხვდნენ. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ დედოფლისწყაროში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრის გახსნა იგეგმება, სადაც სპეციალობები მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე შეირჩევა.

„საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი და ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქი მალე თავისი არსებობის პირველ ათეულ წელიწადს აღნიშნავს, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ იგი, უკვე საკუთარი ხელწერის სასწავლო დაწესებულებაა, როგორც არაფორმალური პროფესიული განათლების ფლავმანი საქართველოში. ეს კი განათლების ის ფორმაა, რომელიც მეტი თავისუფლება აქვს და სრული ავტონომია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთთან მიმართებაში, ამიტომაც პრეროგატივა ახლა საზღვარგარეთ საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისა და ჩვენი აკადემიური ქალაქის წარმომადგენლობის გახსნაა, ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯები კი საკმაოდ ეფექტური გახლავთ. ჩვენი სლოგანაც და კრედიტაც ასეთია: „განათლება ევროპული - მენტალიტეტი ქართული!“ -აცხადებს საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი გარი ჩაფიძე.

„EUCEN“ - ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი
 ევრო აკადემიის (EAM) მფლობელი და IEAC საერთაშორისო საგანმანათლებლო სააკრედიტაციო კომიტეტის მიერ (ბელგია) სააკრედიტაციო, საერთაშორისო ინტერნაციონალური კომიტეტის წევრი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრი

ავსებლად მიღებას ვასაუბრებთ საფუძვლზე IX და XII კლასდამთავრებულთათვის ასევე მიიღებენ X, XI, XII კლასის მოსწავლეები

- ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიები
- ✓ საპროექტო დიზაინი
- ✓ დაცვა-პატრულირება
- ✓ ბანკის ოპერატორი
- ✓ ექონის თანამშენი
- ✓ ფარმაცევტის თანამშენი
- ✓ კბილის ტექნიკოსი
- ✓ ვეტერინარი
- ✓ ბავაბალის აღმზრდელი
- ✓ კორექსიონდენტი
- ✓ ვიდი, ტურინგი

სწავლება სამსლიანი
 სასწავლო გადასახადი წელიწადში 1100-ლარი
 კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამედიცინო, აქროსტეგადიან დიპლომს!

მისამართი: ქ. რუსთავი, შვეჩენოს ქუჩა №5;
 აკადემიური ქალაქი, კორპუსი №3
 ტელ: (0341) 22-25-00; (0341) 27-99-00;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა ახალი მიმდინარეობს

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია კახეთის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში 400 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება. კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი მუნიციპალიტეტის მერ, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად, ინფრასტრუქტურული პროექტის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

სკოლის შენობა შეემატება კახეთის რეგიონს.

პროექტს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს და მისი ჯამური ღირებულება 4 376 929'49 ლარს შეადგენს.

პროექტის დასრულების შემდეგ, კიდევ ერთი, ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საჯარო



„ჩვენ რომ გვიყვარს მოფარება, თქვენი თეთრი თმა...“

ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ცეროდენას“ პატარა აღსაზრდელები სტუმრად იმყოფებოდნენ სათნოების სახლში. პატარებმა მოხუცებს გაზაფხულის მოსვლა და გასული ქალთა დღეები მიულოცეს. იცეკვეს, იმღერეს, ლექსები თქვეს და კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს სათნოების სახლის ბენეფიციარებს.

ლოცა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა პატარა ცეროდენებს და მათ ხელმძღვანელს ნინო ლოლაშვილს ლამაზი ლონისძიებისთვის და მოხუცების გახარებისთვის.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა გაზაფხულის მოსვლა მიუ-

დასასრულს, პატარებმა ყვავილები მიართვეს ქალბატონებს.

ლონისძიებას ესწრებოდნენ სათნოების სახლის ბენეფიციარები, თანამშრომლები, მუნიციპალიტეტის მერიის, ა. (ა). ი. პ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის წარმომადგენლები, ბავშვების მშობლები.



ერთად ევროპული მოავლისაკენ

ძლიერი და წარმატებული ქვეყნის გარანტი განათლებაა. მოსწავლეთა განვითარებაში სკოლის როლი უმნიშვნელოვანესია. იგი ქმნის უნიკალურ და თვითმყოფად გარემოს, სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების 12 წელს ატარებს, ვითარდება, უყალიბდება ღირებულებათა სისტემა, სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. წლებია აქტიურად ვადა არაფორმალური განათლების მიღება სკოლებში, რომელიც ფორმალური განათლების გარეშე უნარების განვითარებას.

ნელი ბავშვების, ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა და ტოლერანტობის კომპეტენციის განვითარებით თემში მოხალისეების პრაქტიკის გაძლიერება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში „ეურნალისტა კლუბის“ წევრების მიერ 2 თვის განმავლობაში დაგეგმილია უამრავი აქტივობა, მათ შორის: საინიციატივო ჯგუფის ფორმირება, სამუშაო შეხვედრების განრიგის შედგენა, ზეპირი ისტორიების შეგროვება და საველე სამუშაოები მშობელთა ჩართულობით სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ტოლერანტობისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება მოზარდებში. პროექტის შემდეგ კლუბსა და სკოლას მოპოვებული გრანტით უსასყიდლოდ გადაეცემა ხმის გამაძლიერებელი აპარატურა. კლუბის წევრთა ახდენილი ოცნებისათვის მადლობა ღია ქადავიძეს.

დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში. მოსწავლეები წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობენ კონკურსებში, კვლევებში, საინტერესო პროექტებსა და კონფერენციებში და წარმატებებსაც აღწევენ.

პროექტის ფარგლებში სხვა უამრავი საინტერესო აქტივობაა დაგეგმილი, რომლის შესახებაც „ეურნალისტა კლუბის“ ფეისბუქ გვერდიდან სისტემატურად შეგატყობინებთ. პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენი სკოლის „ეურნალისტა კლუბი“, რომელსაც წლებია ხელმძღვანელობს ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი ლია ქადაგიძე, 2024 წლის 1 მარტიდან აქტიურადაა ჩართული „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ მობალისეობივო ინიციატივების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ფარგლებში. პროექტის - „ერთად ევროპული მომავლისკენ“ მიზანია, დედოფლისწყაროში არადომინანტი ჯგუფების წარმომადგე-

სალომა ლაპიაშვილი
 ეურნალისტა კლუბის წევრი

კლიმატის ცვლილება და უსაფრთხოება ჩიჩინ-ფასავანთ ავთონიპალიტეტის მუნიციპალიტეტში

11 აპრილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტის „კლიმატის ცვლილების უსაფრთხოების რისკებზე რეაგირების გაძლიერება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“ შესახებ საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნული კონსულტაციების ფარგლებში განხილულ უნდა იქნას და დადასტურდეს თანამშრომლობის შედეგად საპროექტო სკოპინგის კვლევის შემდეგ, რათა გაძლიერდეს კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობა ლანდშაფტის და ტყის ხანძრის ერთობლივი მართვის და კატასტროფის რისკის შემცირების გზით ორ საპროექტო მუნიციპალიტეტში - ზაქათალასა (აზერბაიჯანი) და დედოფლისწყაროში (საქართველო). კონსულტაციები ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) პროექტის „კლიმატის ცვლილების უსაფრთხოების რისკებზე რეაგირების გაძლიერება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში“ პროექტის ნაწილია, რომელიც ხორციელდება adelphi-სა და ხანძრის გლობალური მონიტორინგის ცენტრთან (GFMC) პარტნიორობით.

პროექტის მიზანია კლიმატის უსაფრთხოების პოტენციური ცხელი წერტილების გამოვლენა, დარუკება, კლიმატის ცვლილებისა და უსაფრთხოების რისკის შემცირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება ეუთოს რეგიონში.

პროექტის მიზანია

2021 წელს ეუთოს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინატორის ოფისმა (OCEEA) ბერლინში დაფუძნებულ ანალიტიკურ ცენტრთან „ადელფი“, ხანძრის გლობალური მონიტორინგის ცენტრსა (GFMC) და საქართველოს გარემოსდაცვითი მსოფლმხედველობა (GEO) ორგანიზაციასთან პარტნიორობით ჩატარა კლიმატის ცვლილებისა და უსაფრთხოების შესახებ ორმხრივი საკონსულტაციო პროექტი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, სადაც ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები სამთავრობო უწყებებიდან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან და აკადემიური წრიდან. საკონსულტაციო პროექტსმა გამოავლინა თანამშრომლობის შესაძლებლობები კლიმატის ცვლილების უსაფრთხოების რისკების გადამწყვეტის მხრივ. კერძოდ, დაინტერესებული მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყურადღება გაამახვილონ ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ



საქართველოში ტყის ხანძრის მართვის თემაზე.

ადგილობრივ და სამინისტროს ექსპერტებთან შედეგობრივ შეხვედრებისა და აზრთა გაცვლის დროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი საქართველოში და ზაქათალას აზერბაიჯანში შეიქმნა საპროექტო სათემო დონეზე ლანდშაფტის ხანძრის მართვის და ტყის ხანძრის რისკის შემცირების სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისთვის.

2023 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის საგანგებო სიტუაციების და ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, ასევე საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ასევე GFMC-ის და საქართველოს გარემოსდაცვითი მსოფლმხედველობის (GEO) წარმომადგენლები საკონსულტაციოდ შეიკრიბნენ თბილისში, რათა განეხილათ იდეები ამ სფეროში წარსულ და მიმდინარე პროექტებსა და ინიციატივებზე დაყრდნობით ხანძრებთან, ხანძრის პრევენციასა და ხანძარსა და ლანდშაფტის დონის რისკებთან დაკავშირებული რისკები, გამოწვევები და მიღებული გამოცდილება. სემინარის დროს მონაწილეებმა ასევე ჩამოაყალიბეს თანამშრომლობის პოტენციური აქტივობები და ღონისძიებები ტყის ხანძრის რისკების შესამცირებლად, ამ სფეროში წარსულ და მიმდინარე პროექტებსა და ინიციატივებზე დაყრდნობით.

11 აპრილის შეხვედრაზე დედოფლისწყაროსა და ზაქათალას შორის ტყის ხანძრის რისკების გადამწყვეტისკენ მიმართული თანამშრომლობის პოტენციური აქტივობებისა და ღონისძიებების შემდგომი განხილვის მიზნით, ეუთო, ადელფი, GEO და GFMC მიერ განხორციელებულ საკონსულტაციო შეხვედრაზე დედოფლისწყაროში ჩართვებზე ეროვნული და ადგილობრივი დონის წარმომადგენლები, მათ შორის საგანგებო სამსახურები და ადგი-

ლობრივი სახანძრო-სამაშველო განყოფილებები, ასევე ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები.

კონსულტაციის მიზანი იყო 2023 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარებული ორმხრივი სამუშაო შეხვედრების შედეგად, განსაკუთრებით, შემდეგ საკითხებზე:

• როგორია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ძირითადი გამოწვევები ხანძრის მართვისა და რეაგირების სფეროში?

• რა გამოწვევების წინაშე დგანან ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები ხანძრის მართვის სფეროში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით?

• როგორია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ძირითადი შესაძლებლობები ხანძრის მართვის სფეროში?

• რომელი არსებული აქტივობები, პროექტები, ინფრასტრუქტურა / ან ადგილობრივი მოთამაშეები შეიძლება წარმოადგენდნენ ხანძრის მართვის, რეაგირებისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სფეროებში ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობას?

მიღებული შედეგებით უნდა შედგეს სკოპინგის კვლევა, რომელიც დაეყრდნობა კონსულტაციებიდან მიღებულ ინფორმაციას, ასახავს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესაძლებლობებს კლიმატის ცვლილებისადმი მედეგობის ხელშეწყობის მიზნით ლანდშაფტის ხანძრის ერთობლივი მართვისა და ველური ხანძრის კატასტროფების რისკის შემცირების გზით ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

ძირითადი საკითხების განსახილველად კონსულტაციები ჩატარდა მოდერირებული ჯგუფური დისკუსიების სახით შერჩეულ დაინტერესებულ მხარეებთან. დაინტერესებული მხარეები იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და შემდეგი სამსახურების წარმომადგენლები:

• მუნიციპალიტეტის დაინტერესებუ-

ლი მხარეები;

• რეგიონის/პროვინციის დაინტერესებული მხარეები;

• საგანგებო სამსახურები;

• დაცული ტერიტორიების და სატყეო სამსახურები;

დაინტერესებული მხარეები თემებიდან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიდან:

• სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები;

• ადგილობრივი თემების დაინტერესებული წევრები, მოხალისეები და ა.შ.

• ქალებისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები;

გამოიკვეთა ხანძრის მართვისა და რეაგირების სფეროს გამოწვევები აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის:

• ქვეყნების შორის კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა მიმდინარეობს, თუმცა შესაძლებელია მისი გაუმჯობესება;

• კლიმატის ცვლილება და გეოგრაფიული პირობები ხანძრის უფრო ახშირებს და რთულდება მათზე რეაგირება;

• ადრეული გაფრთხილება და რეაგირება უნდა გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს, თუმცა ადამიანური და ფინანსური რესურსები შეზღუდულია;

ასევე გამოიკვეთა დედოფლისწყაროს (საქართველო) და ზაქათალას (აზერბაიჯანი) შორის თანამშრომლობის იდეები:

• ხანძრის პრევენციისა და რეაგირების გაძლიერება მუნიციპალურ დონეზე ტრენინგების ქალებისა და ახალგაზრდობის ჩართვისა და ცნობიერების ამაღლების გზით;

• ეროვნულ დონეზე კოორდინაციის გაუმჯობესება ორივე ქვეყანაში ეროვნულ დონეზე თანამშრომლობის ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, რაც ემსახურება მუნიციპალიტეტებში, სექტორებსა და საზღვრებს შორის კოორდინაციის გაღრმავების საბოლოო მიზანს;

• ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებების გამოყენება ველური ხანძრისა და ტყის ხანძრის პრევენციისა და რეაგირებისათვის;

პროექტის გუნდს წარმოადგენდნენ ქ-ნი პატრიცია ალბრეხტი, კლიმატის საკითხებში მრჩეველი, ეუთოს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინატორის ოფისი (OCEEA), ეუთო, ქ-ნი კატერინა რობული, პროექტის ასისტენტი (OCEEA), ეუთო, ბ-ნი ლუკას რუტინგერი, ადელფის უფროსი მრჩეველი, ქ-ნი ალინა ვი-პოფი, კონსულტანტი, ადელფი.

• ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებების გამოყენება ველური ხანძრისა და ტყის ხანძრის პრევენციისა და რეაგირებისათვის;

პროექტის გუნდს წარმოადგენდნენ ქ-ნი პატრიცია ალბრეხტი, კლიმატის საკითხებში მრჩეველი, ეუთოს ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობის კოორდინატორის ოფისი (OCEEA), ეუთო, ქ-ნი კატერინა რობული, პროექტის ასისტენტი (OCEEA), ეუთო, ბ-ნი ლუკას რუტინგერი, ადელფის უფროსი მრჩეველი, ქ-ნი ალინა ვი-პოფი, კონსულტანტი, ადელფი.

შუშუნა ყანაშვილი
ინგა შიოლაშვილი

კონკურსი საგანმანათლებლო ჩისურსსენებრში

საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებს საჯარო მოხელის სტატუსი მიენიჭათ. ხელახლა გამოცხადდა კონკურსი, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტებში რესურსცენტრის უფროსები უნდა შეირჩეს. განაცხადების მიღება 15 აპრილს დასრულდება. „შირაქი“ დაინტერესდა, რა იცვლება რესურსცენტრის უფროსის თანამდებობისთვის საჯარო მოხელის სტატუსის მინიჭებით, როდის ამოქმედდა და რას ითვალისწინებს ცვლილება?

პარლამენტის მიერ 2023 წლის 13 დეკემბერს ცვლილება შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში, რომლის თანახმადაც, რესურსცენტრის უფროსის თანამდებობა საჯარო მოხელის სტატუსს დაექვემდებარა, უფლებამოსილება შეუწყდათ არსებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსებს და თანამდებობის კონკურსის წესით შეესაბამდე, კანონის ამოქმედების პერიოდში მყოფი უფროსები დაინიშნენ უფროსის მოვალეობის შემსრულებლებად.

როგორც ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, მაკა ჯანაშვილი „შირაქთან“ ამბობს, ისინი გასული წლის დეკემბრის თვეში უკვე დაინიშნნენ ფუნქციონირების შემსრულებლად და მათთვის ცნობილი იყო, რომ ღია კონკურსი გამოცხადდე-

ბოდა. შევეცადეთ გავკერვოთ, აპირებს თუ არა თავად ჯანაშვილი მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კონკურსში.

მაკა ჯანაშვილი: „ცვლილების მიზანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რესურსცენტრის თანამშრომლებზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები, ხოლო რესურსცენტრის უფროსები აქამდე არ იყვნენ საჯარო მოხელეები. რესურსცენტრის როლის გაძლიერების მიზნით, მიზანშეწონილად ჩათვალა, რესურსცენტრის უფროსებიც გახდნენ საჯარო მოხელეები და მათზე ვრცელდებოდა საჯარო მოხელისათვის კანონით გათვალისწინებული კარიერული განვითარების მოტივაციის ამაღლების, საჯარო სამსახურის სტაბილურობის უზრუნველყოფის, ასევე პროფესიული უზარ-ჩვევების ამაღლების, ნახალისების, პირობების შექმნა.“

საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების თანამდებობრივი სტატუსის ცვლილება, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ზემოთხსენებულ კანონის შესაბამისად, მისი გამოქვეყნების შემდგომ დაინციო, უშუალოდ დედოფლისწყაროს რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნის შესახებ მინისტრის ბრძანება 2023 წლის 28 დეკემბრით

თარიღდება. ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით დავინიშნე.

რა თქმა უნდა, უკვე შევავსე რესურსცენტრის უფროსის კონკურსში მონაწილის განაცხადი. კონკურსი ითვალისწინებს გასაუბრების გავლას. მოლოდინს რაც შეეხება, დადებითი განწყობა მაქვს, რადგან ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება და უნარები აღნიშნული თანამდებობის შესაბამისია. ინფორმაცია კონკურსის სხვა მონაწილის, ამ კონკურსენტის შესახებ ამ ეტაპზე არ მაქვს.“

რესურსცენტრის უფროსის შესარჩევი კონკურსის გარდა, ცნობილია რომ მიმდინარეობს სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსის კიდევ ერთი ახალი ეტაპიც. დედოფლისწყაროს 8 საჯარო სკოლაში დირექტორების არჩევნები უახლოეს თვეებში შედგება. ამ ეტაპზე 33 განაცხადია რეგისტრირებული სოფლების: სამრეკლოს, გამარჯვების, არბოშის, ზემო ქედის №1, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, ფიროსმანისა და საბათლოს სკოლებში. ისინი დირექტორების სერტიფიკატის მოპოვებას შეეცდებიან, თუმცა დედოფლისწყაროში ბევრია ისეთი, რომლებიც უკვე ფლობენ ახალ სერტიფიკატს, თუმცა

დირექტორად ჯერ არ არჩეულან.

ჯანაშვილი სკოლის დირექტორთა კონკურსის შესახებ ამბობს, რომ ტესტირების შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, წარმატებული კანდიდატები კი გასაუბრებას გაივლიან.

„საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი - ტესტირება 10 მარტს დასრულდა, ამჟამად ველოდებით ტესტირების შედეგებს, რომლის საფუძველზეც სამინისტრო ჩანიშნავს შემდეგ გასაუბრების ეტაპს. ტესტირების შედეგები სამინისტროს შესაბამის ვებ-გვერდზე განთავსდება,“ - ამბობს მაკა ჯანაშვილი.


გასაუბრების შემდეგ გაირკვევა კანდიდატი მოიპოვებს თუ არა დირექტორის უფლებას, თუმცა არც სერტიფიკატის მინიჭება ნიშნავს, რომ სამინისტრო სკოლას ასარჩევად ამ კანდიდატს აუცილებლად წარუდგენს.

10 მარტს სკოლების დირექტორების კანდიდატთა ტესტირება ქვეყნის მასშტაბით ჯამში 48 საგამოცდო ცენტრში ჩატარდა. საგამოცდო პროცესი წელს ცვლილებებით მიმდინარეობს. კერძოდ, გაუქმდა სერტიფიკატების ეტაპი და ნაცვლად შესარჩევი კონკურსის ორი ეტაპისა, კანდიდატი ტესტირებას და მხოლოდ ერთ გასაუბრებას გადის. ამასთან, ახალი მიდგომით, მოქმედი სერტიფიკატის მქონე პირი გასაუბრებაზე გასვლის უფლებას ტესტირების გარეშე მიიღებს.

ილია მარტყოფილი

„საქართველოსა და CERN-ს შორის ურთიერთობა 1996 წლიდან დაიწყო. კოლაიდერის შექმნასა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის ქართველებიც მონაწილეობენ. მათი კვლევის ძირითადი საგანია, როგორ იყო სამყარო მისი წარმოქმნის დროს, 14 მილიარდი წლის წინ პირველ მიკრონამებში, როგორ შეიქმნა პირველი ელემენტარული ნაწილაკი, ატომი, მოლეკულა, შემდეგ კი-ვარსკვლავები, პლანეტები და გალაქტიკები; რა არის შავი ხვრელი; განვითარების რა გზა გაიარა და როგორი დასასრული ექნება სამყაროს“- ამბობს ნინო ზინოვიძე-ნაშვილი, ფიზიკის პედაგოგი, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც მდიდარი შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრიდან.

„საქართველოსა და CERN-ს შორის ურთიერთობა 1996 წლიდან დაიწყო. კოლაიდერის შექმნასა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის ქართველებიც მონაწილეობენ. მათი კვლევის ძირითადი საგანია, როგორ იყო სამყარო მისი წარმოქმნის დროს, 14 მილიარდი წლის წინ პირველ მიკრონამებში, როგორ შეიქმნა პირველი ელემენტარული ნაწილაკი, ატომი, მოლეკულა, შემდეგ კი-ვარსკვლავები, პლანეტები და გალაქტიკები; რა არის შავი ხვრელი; განვითარების რა გზა გაიარა და როგორი დასასრული ექნება სამყაროს“- ამბობს ნინო ზინოვიძე-ნაშვილი, ფიზიკის პედაგოგი, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც მდიდარი შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრიდან.



შვეიცარიაში, ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN), მსოფლიოს მეცნიერებთან ერთად, ქართველი ფიზიკოსები იღებენ საინტერესო ექსპერიმენტებში მონაწილეობას. მსოფლიოში ყველაზე გიგანტური ამაჩქარებელი აგებულია საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვარზე არსებულ ტერიტორიაზე. მას უკავია 100 მეტრის სიღრმეზე განთავსებული გვირაბი, რომლის სიგრძის სიგრძე 27 კილომეტრია. LHC-ზე ძირითად ამაჩქარებენ პროტონების კონებს. მათი ამაჩქარება ხდება ორი მიმართულებით, არის ნერტილები, სადაც ეს პროტონთა კონები ერთმანეთს უნდა შეეჯახონ. ამ დროს წარმოიქმნება უამრავი ელემენტალური ნაწილაკი...მისი შესწავლით, მიახლოებითი წარმოდგენა იქმნება, თუ როგორ იყო სამყარო დიდი აფეთქების პირველ მიკრონამებში. გაზეთ „შირაქს“ სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ნინო ფიროსმანაშვილი ესაუბრება, რომელმაც საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლების ფიზიკის 13 პედაგოგთან ერთად 17-დან 24 მარტამდე CERN-ში სტაჟირება გაიარა. ვიზიტისას ქართველი პედაგოგები გაეცნენ CERN-ში მიმდინარე ექსპერიმენტებსა და კვლევების შესახებ ინფორმაციას, მოისმინეს ლექციები ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასა და კოსმოლოგიის შესახებ.

იდეა, ქართველი მასწავლებლების სტაჟირებისა CERN-ში პროექტის განხორციელების შესახებ გაჩნდა დაახლოებით 2009 წელს და მას მერე 2011 წლიდან საქართველოს განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა სახლის თანამშრომლობით ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრთან - CERN ყოველწლიურად ხორციელდება (გამონაკლისი პანდემიის პერიოდში) და სტაჟირება უკვე 240 ქართველმა მასწავლებელმა გაიარა.

– ნინო, სულ ახლახან, 13 ქართველ პედაგოგთან ერთად, CERN-ში სტაჟირება გაიარეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები...

– პროგრამის ფარგლებში, CERN-ში 14 მასწავლებელი ვიმყოფებოდით. პროგრამა ხორციელდება მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მასწავლებლებისთვის. მიზანი კი, რა თქმა უნდა, პირველი და უმთავრესი-მეცნიერების პოპულარიზაცია და ახალგაზრდებში ფიზიკის შესწავლის მოტივაციის ამაღლებაა. რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზრდა თაობაში არაპოპულარული გახდა საბუნებისმეტყველო საგნების-განსაკუთრებით

ფიზიკის შესწავლა. ეს, რა თქმა უნდა, CERN-ის მიზნებთან და მისიასთანაც თანხვედრაშია. აქვე კი CERN-ის მიზნებსა და მისიასაც გაგაცნობთ-ჩახედვა წარსულში-ცოდნის საზღვრების გაფართოება; დიდი აფეთქების საიდუმლო-როგორ იყო სამყარო წარმოქმნის პირველ მომენტში; ახალი ტექნოლოგიების განვითარება; მომავალ მეცნიერთა მომზადება; სხვადასხვა კულტურისა და ქვეყნის ხალხთა გაერთიანება;

აქვე მოგახსენებთ, რომ მეგზურობა ამ „საოცრებათა სამყაროში“ გაგვიჩინა როგორც CERN-ში მომუშავე ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა, ასევე სპეციალურად ამ პროექტისთვის მოწვეულმა სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა - წარმოშობით ავსტრიელ ფიზიკოს ჯეფ ვინერთან ერთად. გაგაცნობთ ქართველ მეცნიერთა ჯგუფს:

ირაკლი მინაშვილი - ფიზიკოსი, CERN-ის ასოცირებული წევრი და ATLAS ექსპერიმენტის კალორიმეტრის მომსახურების ჯგუფის ხელმძღვანელი; გივი სეხნიაიძე - ფიზიკოსი, ფედერიკო II უნივერსიტეტის INFN - ნეაპოლის განყოფილება, იტალია, 1996 წლიდან თანამშრომლობს ცერნთან;

ალექსი მესტირიშვილი - ფიზიკოსი, მაღალი ენერგიების ექსპერიმენტული ფიზიკის დოქტორი, 1996 წლიდან თანამშრომლობს ცერნთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში აიოვას უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი, 2005 წლიდან;

ვახტანგ ქართველიშვილი CERN - ის ასოცირებული თანამშრომელი, ლანკასტერის უნივერსიტეტის პროფესორი; ქეთევან ქააძე - ფიზიკოსი; კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ირმა მეგლაძე - შვეიცარიაში მოღვაწე ფიზიკოსი, მკვლევარი, პედაგოგი, სახელმძღვანელოს ავტორი;

ირაკლი მინაშვილი - ფიზიკოსი („ჯგუფის ხელმძღვანელი“);

– იმისთვის, რომ დიდი კოლაიდერის ექსპერიმენტზე უფრო ნათელი წარმოდგენა შექვეყნათ, დაუბრუნდები თქვენ: რა არის დიდი ადრონული კოლაიდერი?

დიდი ადრონული კოლაიდერი LHC სიგრძით 27 კმ-ია და სიღრმით განთავსებულია დაახლოებით 100 მ სიღრმეზე, რომელიც მდებარეობს შვეიცარიისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე.

CERN აბრევიატურაა და ასე იწოდება - Conseil Européen pour la Recherche Nucléaire;

CERN - ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციაა, საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსით; ის ჩამოყალიბდა 1954 წელს 12 ევროპული ქვეყნის მიერ შეთანხმების საფუძველზე. ამჟამად კი ამ ორგანიზაციის წევრი 23 ქვეყანაა. სამწუხაროდ, საქართველო ჯერ არ არის ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყანა, თუმცა ქართველი მეცნიერები საქართველოდან და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან შთაბეჭქდავი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. მისი წლიური ბიუჯეტი 1.206 მილიარდი შვეიცარული ფრანკია.

„ადრონული“ კოლაიდერის დანიშნულებაა ადრონების, მძიმე ბირთვების, ამაჩქარება - და ერთმანეთთან შეჯახება. ადრონები არ არიან ელემენტარული ნაწილაკები, ისინი შედგებიან კვარკების-

საგან, რომლებიც „შენეებულა“ გლეონების.

კოლაიდერი ინგლისური სიტყვაა (collide) და შეჯახებას ნიშნავს. კერძოდ, კოლაიდერში თითქმის სინათლის სიჩქარით მოძრავი პროტონების ორი კონა გამოდის საპირისპირო მიმართულებით და ეჯახება ერთმანეთს, ამ დროს წარმოიქმნება დიდი ენერგია (7 ტეე) და უამრავი ელემენტარული ნაწილაკი. ეს ახალი ნაწილაკები ძალიან არამდგრადებია და შეუძლიათ არსებობა წამის ნაწილებში. კოლაიდერის შემადგენლობაში არსებული ანალიტიკური აპარატი ინერს ამ მონაცემებს, შემდეგ კი დეტალურად აანალიზებს.

კოლაიდერის მუშაობის საფუძველი არის დამუხტული ნაწილაკების ურთიერთქმედების მართვა ელექტრული და მაგნიტური ველებით. ელექტრული ველი ასრულებს მუშაობას ნაწილაკების ენერგიის ასამაღლებლად. ხოლო მაგნიტური კი მართავს ნაწილაკების ნაკადს ისე, რომ არ უცვლის მას ენერგიას და ქმნის ორბიტას, რომელზეც მოძრაობს ეს ნაკადი.

საქმე იმაშია, რომ 7 ტეევამდე ნაწილაკის ამაჩქარება პირდაპირ არ ხდება. ამისათვის მან უნდა გაიაროს რამდენიმე ამაჩქარებელი. წრფივი ამაჩქარებელით ამაჩქარებენ პროტონებს 50 მეგ-მდე. ნაწილაკი შემდეგ გადადის PS-პროტონულ ამაჩქარებელში ანუ Booster-ში სადაც 1,4 გეე-მდე ჩქარდება. Booster - ის რადიუსი 600 მეტრია. აქედან გადადიან პროტონულ სინხროტრონში, სადაც პროტონის ენერგია ადის 28გეე-მდე. შემდეგ SPS-ში ანუ პროტონულ სუპერ სინხროტრონში, სადაც ენერგია კიდევ იზრდება და ადის 400 გეე-მდე. რადიუსი ამ ამაჩქარებლის არის 7კმ. და უკვე ბოლოს გადადის უკვე LHC-დე ადრონულ კოლაიდერში, სადაც უკვე პროტონის ენერგია იქნება 3,5 ტეე. ე.ი. სულ შეჯახების დროს გროვდება 7 ტეევი ენერგია.

დიდი ადრონული კოლაიდერზე სხვადასხვა ნერტილში მუშაობს ALICE, ATLAS, LHCb და CMS - ოთხი ძირითადი დეტექტორი.

ყველა დეტექტორი ინფორმაციის დარეგისტრირებას და ანალიზს აკეთებს ერთი მეთოდით.

1. ტრეკული სისტემა -სილიკონური სტრიპები და პიქსელები;
2. ელექტრომაგნიტური კალორიმეტრი;
3. ადრონული კალორიმეტრი;
4. მიუონური სისტემა;

ამ დეტექტორებიდან მიღებული ინფორმაცია ძალიან დიდია და მას გადასცემენ იმ ქვეყნებში, სადაც მუშაობენ ამ ექსპერიმენტის მონაწილეები. ცერნმა შეიმუშავა ამ მონაცემების გაშავრებული ახალი სისტემა - GRID. ეს სისტემა ამუშავებს და ინახავს დეტექტორებიდან მოსულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია აღწევს 15 მლნ გეგაბაიტს წელიწადში. შესაძლოა GRID სისტემა გახდეს ახალი სუპერ-ინტერნეტის საფუძველი. განათვალისწინებელია, რომ თვით ინტერნეტი (მსოფლიო ქსელი) შეიქმნა ცერნში, რადგანაც საჭირო იყო ამ უზარმაზარი ინფორმაციის სწრაფი მიწოდება სხვადასხვა კონტინენტებზე მცხოვრები მეცნიერებისთვის. შედეგად ცერნში შეიქმნა

მსოფლიო ინტერნეტ-ქსელის (WWW) პროტოტიპი და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. და ეს არც პირველი სარგებელია მთლიანად დედამიწის მოსახლეობისთვის და არც უკანასკნელი, რაც მეცნიერული კვლევების პარალელურად შეიქმნა და გავრცელდა.

CERN-ში ვიზიტის პირველივე დღეს მივედით ბრიტანელი მეცნიერის ტიმ ბერნერს-ლის იმ სამუშაო ოთახთან, სადაც მან ეს მსოფლიო ქსელი გამოიგონა 1989 წელს (თავდაპირველი დანიშნულება-შედასაკომუნიკაციო).

როგორც უკვე აღვნიშნე, ელემენტალური ნაწილაკების შესასწავლად (ხშირად კი აქამდე უცნობი ნაწილაკების აღმოჩენაც ხდება), პროტონების კონებს ამაჩქარებენ სხვადასხვა ამაჩქარებელი სინათლის სიჩქარემდე დიდი მიახლოებით, შემდეგ კი ერთმანეთს აჯახებენ. შეჯახებისას წარმოიქმნება მაღალი ტემპერატურა გაცილებით მაღალია, ვიდრე მზის გულში არსებული. ელემენტალური ნაწილაკების შესწავლა მეცნიერებს ემარება იმის გაგებაში, როგორი იყო ჩვენი სამყარო დიდი აფეთქებიდან პირველ მიკრონამებში. LHC -ზე ყოველ წამში ხდება დაახლოებით 600 მილიონი დაჯახება. პროტონების შეჯახებისას ყველა მიმართულებით განიხილება ელემენტარული ნაწილაკები. საშუალოდ თითო შეჯახების დროს იბადება დაახლოებით 100 ნაწილაკი.

– იქნებ მოკლედ განმარტოთ, რატომაა მნიშვნელოვანი ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა?

ყველაზე მოკლე განმარტება მისი მნიშვნელობის იქნება ის, რომ თვითონ LHC შეიქმნა იმისთვის, აღმოეჩინათ ნაწილაკი, რომლის არსებობა ჯერ კიდევ წინა საუკუნის 60-იანი წლებიდან ივარაუდა რამდენიმე ფიზიკოს-თეორიკოსსმა მეცნიერმა. კერძოდ, უნდა არსებულყო მნიშვნელოვანი ნაწილაკი, რომელიც დიდი აფეთქების პირველ მიწინამეშვი ძალიან დიდ როლს ითამაშებდა სხვა ნაწილაკების წარმოქმნაში, 60 წელზე მეტხანს არ ხერხდებოდა ამ ნაწილაკის აღმოჩენა, თუმცა 2009 -2012 წლებში სამეცნიერო ჯგუფებმა CMS-სა და ATLAS-ზე შენიშნეს მსგავსი თვისების ნაწილაკი. ბოლოს კი უკვე ნამდვილად დადასტურდა, რომ აღმოჩენილ იქნა ე.წ. ჰიგსის ნაწილაკი-რომელსაც ეს სახელი იმ მეცნიერის საპატივსაცემოდ ეწოდა, რომელმაც ივარაუდა მისი არსებობა-ბრიტანელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი პიტერ ჰიგსი და მიენიჭა ნობელის პრემია დიდ ბელგიელ ფიზიკოს - თეორიკოს ფრანსუა ანგლერთან ერთად. სამწუხაროდ პიტერ ჰიგსი რამდენიმე დღის წინ -8 აპრილს 94 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჰიგსის ბოზონის აღმოჩენაში CMS-სა და ATLAS-ზე მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ფიზიკოსები, მათ შორის იმ გუნდიდან, რომელიც დასაწყისში წარმოვიდგინეთ.

– და მაინც რატომაა ასე მნიშვნელოვანი მისი აღმოჩენა და უბრალოდ დადასტურება იმის, რომ ის ნამდვილად არსებობდა?

ანუ, ჩვენი ფიზიკა აუცილებლად წინასწარმეტყველებდა მის აღმოჩენას, თუ არ მოხდებოდა დადასტურება, რომ ის ნამდვილად არსებობდა-ბევრი რამ იქნებოდა გადასახედი. ჰიგსის ბოზონის სხვა ნაწილაკებთან ურთიერთქმედება განპირობებდა მათთვის შესაბამისი მასის მინიჭებას. თუ არ იურთიერთქმედებდა ჰიგსი სხვა ნაწილაკებთან, მათ მასა არ ექნებოდათ და თუ მასა არ ექნებოდათ, ვერ შეიქმნებოდა ატომები, მოლეკულები და ზოგადად მატერიის ის ცნობილი ფორმა, სადაც ვართ.

– კონკრეტულად რა თემებს მოიცავდა ლექციების კურსი?

დასაწყისში გავაცანეს უსაფრთხოების წესები, რომელსაც CERN-ში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და გვიჩვენეს კომფორტული როგორც ტანსაცმლის, ასევე ფეხსაცმლის მორგება.

რა თქმა უნდა, როგორც ინფორმაციულად, ასევე თემატურად ძალიან დატვირთული იყო ჩვენი გრაფიკი. დღის პირველ ნახევარში თუ ვისმენდით სხვადასხვა სემინარს



9 აპრილი - დღე მწუხარების, დღე სიამაყის!

„რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტერი არ შემოგვსევია, რა ბჭენა დღეთა, რა სისხლისღვრა, რა ნისქეილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავს, მაგრამ ყველას გაუძლეველი, გადავრჩით. ქვა ქვაზე არ დაგვიტოვეს, მოგვსპეს, გაგვუღიჭეს, მაგრამ მინც ნელში გავსწორდით, გაუძლეველი რჯულიანსა თუ ურჯულოს, და დროშა, ქართველების, საკუთარ სისხლში ამოსვრილი, არავის გაუთელდინეთ, არავის წავაბილწებინეთ. ეს დროშა დავითის ხელნაღები, ეს დროშა თამარის ცრემლით დაცვარული, ეს დროშა ცხრა ძმის სისხლით შეღებლი, კვლავ სისხლით და ზვარაკად შემონირული ქართველების. მრავალი საუკუნის განმავლობაში, შევეძელით შეგვენარჩუნებინა ჩვენი ქვეყნის თავისუფლება“.

ამ სიტყვებით გაიხსნა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში, რომელიც ამავ სკოლის აღმასრულებელი დირექტორისა და ისტორიის მასწავლებლის თეა სხირტლაძის ორგანიზებით ჩატარდა. აღნიშნული ღონისძიების მიზანი საზოგადოებისთვის იმ თავგანწირვის კიდევ ერთხელ შესხენება იყო, რომელიც 9 აპრილს დაღუპულებმა საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის გაიღეს. ღონისძიების მიმდინარეობისას მონაწილეებმა 9 აპრილთან ერთად ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მოვლენები გაიხსენეს: ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება, აფხაზეთისა და ისტორიული სამაჩაბლოს ოკუპაცია, აგვისტოს ომი.

ღონისძიებაში სკოლის მოსწავლეებთან ერთად პედაგოგიური კოლექტივიც მონაწილეობდა. სასცენო ნომრებს შორის გამორჩეული იყო ცეკვა-პერფორმანსი, რომელიც ღონისძიების დასასრულს ერთგვარ დამაგვირგვინებელ გამოსვლადაც კი იქცა, სადაც წარმოდგენილი იყო აფხაზეთისა და ისტორიული სამაჩაბლოს მოწყვეტის, აგრესორი ჩრდილო მეზობლის მუდმივი მცოცავი ოკუპაცია, შევიწროება, ჩაგვრა. თუმცა, ბავშვებმა პერფორმანსით ისიც აჩვენეს, რომ ერთიანობით, ერთმანეთის გვერდში დგომით ყველაფერი შესაძლებელია და საქართველოს მომავალი გამთლიანება სწორედ ამაზეა დამოკიდებული. დადგმა საკმაოდ ემოციური და ამაღლებელი აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის, რომელთაც გამომსვლელები ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს. დასასრულ, აუდიტორიას სიტყვით საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა მიმართეს.

თეა სხირტლაძე, ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორი: „ამ პატარა ღონისძიებით გადმოვეცით ის ემოციები, რაც 9 აპრილთან არის დაკავშირებული. 9 აპრილი ნებისმიერი ჩვენგანის გონებაში აისახება როგორც მწუხარების, ასევე სიამაყისა და სიხარულის დღე. მწუხარების დღე, რად-

გან გარდაიცვალა 21 ადამიანი, ხოლო სიხარულის და სიამაყის დღე იმიტომ, რომ 2 წლის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სიამაყით ვივსებით იმიტომ, რომ ერთად შეკრული ქართველი ერი იბრძოდა ბოროტების იმპერიის წინააღმდეგ. თითოეულ მათგანს ვინც იმ დროს იბრძოდა, გააზრებული ჰქონდა ის საშიშროება, პასუხისმგებლობა, რაც შეიძლებოდა ამ მოვლენას მოჰყოლოდა. ხშირად ამბობენ, ალბათ, არ იცოდნენ რა საშიშროების წინაშე იდგნენო, მაგრამ მათ ნამდვილად იცოდნენ და ამას დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად შეგნებულად აკეთებდნენ. 9 აპრილი იქცა დასაბამი და დამოუკიდებლობის მოპოვებისა. ჩვენმა პატარებმა ახსენეს, რომ ქართველები იბრძოდნენ, გაუძლეს, გადარჩნენო. ჩვენი ბოლო ნომერი, ცეკვა-პერფორმანსიც სწორედ ამაზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ დროებით დავკარგეთ აფხაზეთი და ოსეთი, მაგრამ ბოლოს საქართველო მაინც გაერთიანდა. იმედია, ვიცხოვრებთ ერთიან, მთლიან, ძლიერ სახელმწიფოში. მართალია 9 აპრილთან დაკავშირებით იყო ჩვენი ღონისძიება, მაგრამ გვინდოდა, მოკლე ისტორიული მიმოხილვა გაგვეკეთებინა უახლესი ისტორიისა. 9 აპრილის მოვლენა, აფხაზეთისა და ოსეთის ომი, ძალიან ახლოსაა ჩვენთან და ბავშვები ამას ძალიან კარგად იაზრებენ. მიხარია და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სკოლის ნიაღში გაიზრდებიან ბავშვები, რომლებზეც აუცილებლად გაამყარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ყოველთვის შეეცდებიან, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო მოქალაქეები იყვნენ. მე ამის იმედი მაქვს. ჩემი სიტყვის ბოლოს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბავშვებს მონაწილეობისთვის, რომ ასე კარგად გამოვიდნენ, გვასახელეს, გაიზრდნენ, თუ შეამჩნიეთ უბრალოდ არ ჰყვებოდნენ, მთელი სულით და გულით ამბობდნენ სიტყვებს, მათ ეს ყველაფერი გააზრებული ჰქონდათ და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“.

ბაბა პატაშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის მოადგილე: „მადლობა 9 აპრილს დაღუპულ იმ 21 გმირს თავისუფლებისთვის. მადლობა მათ, რომ დღეს თავისუფალ, ძლიერ და დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მადლობა მათ თავისუფლებისთვის გაღებული სისხლისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო, თეა სხირტლაძეს ასეთი კარგი ღონისძიებისთვის. ძალიან ემოციური იყო ბავშვების მიერ ნათქვამი თითოეული სიტყვა. ახლაც კი განვიცდი და ვნერვიულობ, ისეთი გულშიჩამწვდომი სიტყვები იყო. მადლობა ბავშვებს ამ ყველაფრისთვის. სწორედ ასეთი თავისუფალი შედეგება საქართველოს მომავალი. ხომ ნათქვამია, „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანიო“- სწორედ ასეთი მუხტით უნდა აღიზარ-



დოს ჩვენი მომავალი თაობა. ჩემთვის და ჩვენთვის ძალიან ემოციური იყო თქვენი სიტყვა. მომავალშიც წარმატებებს გისურვებთ“.

მამუკლა მაქალარაშვილი, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების დეოფისის წარმომადგენელი: „დღევანდელი ღონისძიება ის ღონისძიებაა, რომელმაც მე ძალიან გამითბო გული, ამატირა. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ამ ახალგაზრდებს, ვინც ასეთი გულით, სიყვარულით გაიხსენეს ის ავადმოსაგონარი 9 აპრილი და ის ადამიანები, ვინც სისხლი დაღვარა ჩვენი დამოუკიდებლობისთვის. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ გავზრდით ჩვენს მომავალ თაობას. დღევანდელმა ღონისძიებამ გვაჩვენა, რომ ახალგაზრდებს ასეთი ღონისძიებები სჭირდებათ. არ არსებობს, რომ დღევანდელმა ღონისძიებამ ახალგაზრდებში პატრიოტული გრძნობები არ გააღვივოს. პირადად მე მრცხვენია, როდესაც ახალგაზრდები, ბავშვები, 9 აპრილის შესახებ კითხვებს ვერ პასუხობენ, არ იციან ამ მოვლენის შესახებ. იმიტომ, ჩვენ ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რომ მათ ისტორია იცოდნენ და თავიანთი ქვეყანა უყვარდეთ. დღევანდელმა ღონისძიებამ, ჩემი აზრით, ერთი დიდი, ლამაზი აგური დადო იმის მშენებლობაში, რომ ჩვენ გვყავდეს მომავალი, თავის ქვეყანაზე ასე შეყვარებული თაობა. ამ სკოლის ღონისძიებებში ძალიან ხშირად არის კარგი და საუკეთესო, ზუსტად იმიტომ, რომ ერთ გუნდად შეკრული სკოლაა. დიდ მადლობას გადავუხადი თეა სხირტლაძეს, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, რომლებიც ასე ერთგულად, ლამაზად ემსახურებიან ამ დიდ საქმეს, რასაც ახალგაზრდების აღზრდა და განათლება ჰქვია. ახალგაზრდას არ უნდა შეეძლოს ასე ადვილად დატოვოს თავისი მინა-წყალი, არ უნდა შეეძლოს ადვილად გადაცვალოს მატერიალურზე თავისი სამშობლო. ეს ახალგაზრდები ასეთი ღონისძიებებით თავიანთ სამშობლოს შეიყვარებენ და მათთვის ყველაფერი ღირებული იქნება. მინდა, ჩვენმა მომავალმა თაობამ ერთიან და დემოკრატიულ სახელმწიფოში იცხოვროს. დღეს ცრემლების გარეშე ვერ შევძელი ღონისძიებაზე ყოფნა“.

თამარ აბუშაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტი: „ამ სკოლას დაარსებიდან ერთი მისია აქვს - ამ სკოლის კურსდამთავრებულები, პედაგოგები, მშობლები იყვნენ ერთი დროშის ქვეშ. ეს დროშა კი სიყვარული, განათლება და ურთიერთპატივისცემაა. ეს ყველაფერი ფუნდამენტურია ამ სკოლისთვის და მათ ღონისძიებებს მკვეთრ ხაზად გასდევს. სკოლის და პედაგოგის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ ჩავდეთ ჩვენს მომავალ თაობაში სიყვარული. მათ პერფორმანსი ჰქონდათ გაკეთებული საქართველოს ჩამოგლეჯილი, წართმეული ორი მხარის შესახებ, რომელიც ჩვენს თაობას და მომავალს

ერთნაირად სტკივა. მომავალს ვუყურებთ იმ იმედით, რომ რაც ჩვენმა თაობამ ვერ გააკეთა, ამ ბავშვებმა შეძლონ. მეც 9 აპრილის მონაწილე ვარ და დღევანდელმა დღემ მომდევნა ის განცდა. ჩვენი გზა არ იცვლება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ თეას, ის არის მაგალითი, თუ როგორი ქართველი უნდა იყო და როგორ უნდა აღზარდო პატრიოტი, საქართველოზე შეყვარებული თაობა. ის არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვცეთ ერთმანეთს პატივი. ის ყოველთვის აფასებს ბავშვების მიერ გაწეულ შრომას, ყოველთვის აფასებს მშობლების ჩართულობას და აფასებს პედაგოგების შრომასა თუ ღვაწლს. უღრმესი მადლობა ბავშვებო, მინდა რომ სულ გზადალოცვილები იყოთ. შეიძლება ბევრჯერ გვტკიოდეს ჩვენი ჩამოგლეჯილი ნაწილები, მაგრამ ჩვენ გადასენება არ გვინერია, რადგან თქვენი ხართ გარანტორები გაბზრყინებული საქართველოსი“.

თეა სხირტლაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მათი სკოლის ახალ პედაგოგს გოდერძი აბულაშვილს, რომელიც როგორც მან აღნიშნა ღონისძიების მომზადებასა და მიმდინარეობის პროცესში აქტიურად ედგა გვერდში. მან ასევე გამოყო მათი ყოფილი მოსწავლე ლაშა საყვარელიშვილი, რომელიც უკვე აღარაა მათი სკოლის მოსწავლე, მაგრამ ნებისმიერი ღონისძიების დროს სკოლას აქტიურად ეხმარება.

9 აპრილის ტრადიციიდან 35 წელი გავიდა. 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებმა თბილისის ცენტრში, პარლამენტის შენობასთან მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. დარბევის შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ასობით მოქალაქე დაუდგენელი შემადგენლობის განით მოინამლა. მოგვიანებით, 1991 წლის 9 აპრილს კი უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაენერა ტრადიციის და, ამავდროულად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

35 წლის წინ ვაშაყაშვილი მიხეილ აიანი: ავა ავაშია - 22 წლის; ნათია ბაშაყაშვილი - 16 წლის; შაა ბაშაყაშვილი - 15 წლის; ნაშო მიოხაძე - 23 წლის; თამუნა ჯოშიაძე - 28 წლის; თინა ანუაძე - 70 წლის; ნინო თოიძე - 22 წლის; ზანი-ხა კიპშიძე - 61 წლის; მანანა ჯოშიაძე - 34 წლის; თამაზ ბაშაყაშვილი - 50 წლის; ვანია ბიჭიანი - 45 წლის; მამუკა ნოზაძე - 21 წლის; ნანა საბაყაშვილი - 41 წლის; შავაა ქვასიანი-აიანი - 35 წლის; მაჩინა ჭყონია-სამაყაშვილი - 31 წლის; ანისო ჭიკაშვილი - 25 წლის; თამაზ ჭოჭიანი - 16 წლის; ნოზა ჭანჭიანი - 40 წლის; მზია ჭინჭაძე - 43 წლის; მანანა მესაძე - 26 წლის ჯა შია ქახიანი - 25 წლის.



ქართველი პედაგოგის თვალთ დანახული „დიდი ადრონული კოლაიდარი“

მეოთხე გვერდიდან

ელემენტარული ნაწილაკების, კოსმოლოგიის, თანამედროვე ფიზიკის აღმოჩენების შესახებ ბატონებისგან - გივი სენიანიძის, ვახტანგ ქართველიშვილის, ჯეფ ვინერის, ირაკლი მინაშვილის, ირაკლი მინაშვილის - „ჯეფინორის“, ქალბატონ ქეთევან ქაძაძის ლექციებს, გვერდზე კითხვა-პასუხის რეჟიმში ყოველთვის, დღის მეორე ნახევარი ეთმობოდა ვთქვით, სინქროციკლოტრონისა და ATLAS კონტროლის ოთახის, ATLAS მართვის ოთახის, CERN-ის კონტროლის ცენტრისა და კოორდინირებული ტესტირების დარბაზი SM18-ის, CCC-ის, ღრუბლოვანი პალატის სახელოსნოსა და გამოფენების, ანტიმატერიის ქარხნისა და დაბალი ენერჯის იონური რგოლის/LINAC2, მონაცემთა ცენტრის და სტაჟირების კულმინაციის CMS-ის დათვალიერებას სადაც ჩვენი მუდმივი მეგობარი იყო ბატონი ალექსი მესტირიშვილი, რომელიც გუშინ, 10 აპრილს, სკოლაში ჩაგვეერთო CERN-იდან და ჩემმა მოსწავლეებმა უამრავი კითხვა დაუსვეს. მაგრამ ვფიქრობ, ამაზე ალბათ ცალკე მკითხავენ.

სტაჟირებისას ასევე მოვისმინეთ თანამედროვე ფიზიკის სწავლება: გამოწვევები და სირთულეები - ქალბატონ ირმა მგელაძისგან. საინტერესო იყო, რა თქმა უნდა, მისი, როგორც კოლეჯის მასწავლებლის გამოწვევებისა და გამოცდილების გაზიარება.

- გარდა თეორიული კურსისა, თუ გქონდათ პრაქტიკული მუშაობა - რაიმე სახის ექსპერიმენტი?

- ქალბატონ ირმა მგელაძემ საკუთარი პრაქტიკიდან წარმოგვიდგინა, თუ როგორ შეიძლება მარტივი ექსპერიმენტის ჩატარება სასკოლო გარემოში, იქვე ჩვენ თვითონაც მივიღეთ მასში მონაწილეობა. ასევე ბატონების ირაკლი მინაშვილის, ირაკლი მინაშვილი-უმცროსის და ბატონ ჯეფ ვინერის ჩართულობით დავამზადეთ კამერა, სადაც ჩვენ თვითონ დავაკვირდით ნაწილაკების „გარბენას“. და თუ გულისხმობთ ექსპერიმენტს, რომელიც დიდ ადრონულ კოლაიდერში მიმდინარეობს, ჩვენი ჩასვლის დროისთვის LHC ერთი კვირის ჩართული დაგზავდა და ზოგადად, თურმე როცა კოლაიდერი ჩართულია, იქ შესვლა ყველას ეკრძალება, გადაუდებელი აუცილებლობისას კი კოლაიდერს გამორთავენ-იმ დროით რა დროც ჭირდება იქ კონკრეტული სამუშაოს შესრულებას. ანუ დიდ ადრონულ კოლაიდერზე ვიზიტორები იშვიათად ხვდებიან და თითქმის ვერც. თუმცა ჩვენ სადაც ვიყავით CMS-ზე (სადაც ჩვენი უცვლელი გიდი-ბატონი ალექსი მესტირიშვილი მუშაობს) მინუს მეორე დონეზე, ანუ დაახლოებით 91 მ სიღრმეზე, სულ რაღაც ათიოდე მეტრიც აღარ გვაშორებდა LHC-ს. ეს როგორ შეგრძნება იყო, იცით? თითქოს 10 მეტრი გვაშორებდა სამყაროს წარმოშობის ისტორიას-მისი არსებობის პირველ წამს. ანუ აქ 10მ =14 მილიარდი სინათლის წლის. ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, მაგრამ LHC-ს ექსპერიმენტები გვემართება იმაში, თუ როგორ წარმოიშვა ჩვენი სამყარო. სამყაროს წარმოშობის მეცნიერული თეორია კი, რომელიც ყველაზე უკეთ ხსნის მას-დიდი აფეთქების თეორიას. დეტალურად თავეს არ შეგანყენებ, თუმცა LHC-ზე ადრონების შეჯახების დროს წარმოქმნილი ნაწილაკების შესწავლა ხდება იმ ოთხი ძირითად დეტექტორის მეშვეობით, რომელზეც დასახელებული მოგითხროთ- ALISE, ATLAS, LHCb და CMS.

-და ანტიმატერიაზე რა შეიტყვეთ?

ლაბორატორიის ძლიერ გაუნია პოპულარიზაცია დენ ბრაუნის ბესტსელერმა რომანმა „ანტილოზები და დემონები“, რომლის პირველი თავი აქ თითქოსდა მომხდარ მოვლენებს ეძღვნება. მისტიკური არაფერია, თუმცა, თანამედროვე მეცნიერების სასწაული კი ნამდვილად გახლავთ. ვიყავით ანტიმატერიის ცენტრში და ბატონ ალექსი მესტირიშვილისგან მოვისმინეთ, როგორ იქმნება ანტიწყობა. ანტიმატერიის დიდხანს „შენახვა“ არ ხერხდება, რადგან ჩვეულებრივ მატერიასთან ანიჰილაციას და დიდი რაოდენობით ენერჯია გამოიყოფა. ანტიმატერიის არსებობაც მეცნიერებმა ივარაუდეს-დიდი აფეთქების დროს ისიც უნდა წარმოშობილიყო, თუმცა მის კვლას სამყაროში ვერსად აგებდნენ. ახლა კი უკვე რეალურად შესაძლებელი გახდა მისი თვისებების შესწავლა. უკვე ცნობილია ისიც, რომ ანტიმატერია გრავიტაციას ჩვეულებრივი მატერიისმაგვარად ემორჩილება.

-თქვენი თვალთ დანახული CERN ?

ჩემთვის, საჯარო სკოლის ფიზიკის ჩვეულებრივი, უბრალო მასწავლებლისთვის-ამქვეყნიურ სამოთხე, ალბათ „იმქვეყნიურიც“!

- გარდა იმისა, რომ ბევრი ინფორმაცია მიიღეთ თანამედროვე ფიზიკის მიღწევებზე და უშუალოდ იმ მეცნიერებისგან მოისმინეთ ლექციები, ვინც ამ დიდ ექსპერიმენტებს წარმართავენ, თქვენი მისია იმაშიც მდგომარეობს, რომ ეს ყველაფერი ქართველ პედაგოგებს გაუზიაროთ...

არა მხოლოდ პედაგოგებს. ჩვენი მისია ფორმალურადაც, და მგონი არაფორმალურადაც, ნამდვილად იქ ნახახის, ალექსილის გაზიარება არამხოლოდ სასკოლო, არამედ, შეძლებისდაგვარად, არასასკოლო საზოგადოებისთვის.

მოსწავლის დაინტერესება, მიიღოს განათლება, მხოლოდ სკოლის დანიშნულება არაა, აქ მნიშვნელოვანია ოჯახის, საზოგადოების როლიც. CERN-ის მთავარი მისია ხომ მეცნიერების პოპულარიზაცია და მომავალი მეცნიერების აღზრდაა? ეს კი ყველას ვალდებულება უნდა გახდეს, უნდა შემოვატრიანოთ მოსწავლეები ფი-



ზიკის, მათემატიკის, ინჟინერიის, ტექნოლოგიების შესწავლისკენ. ეს ძალიან სჭირდება ჩვენ ქვეყანას და ამაში თუ ძალიან პატარა წვლილს შევიტან-მისიაც შესრულებული იქნება.

ამ ეტაპზე არ გვექონდა ბედნიერება ჩვენ პროექტში ჩართულიყო ჩვენი სა-ამაყო მეცნიერი, ფიზიკის თეორიტიკოსი, მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც ერთ-ერთ საჯარო ლექციაში საუბრობს - „გაცილებით ლოგიკური იქნებოდა ფიზიკის სწავლება ელემენტარული ნაწილაკების შესწავლით ინყებოდეს, თუმცა, ტრადიციულად, ისევე ისე გრძელდება“.

ფიზიკა აქამდე 11 კლასის ჩათვლით ისწავლებოდა, რაც ასევე გარკვეულწილად აწვდიდა თითქოს საგნის შესწავლის საჭიროებას. მომავალი სასწავლო წლიდან უკვე მე-12 - დამატავრებულ კლასში ისევე აღდგება ამ ფუნდამენტური საგნის შესწავლა. და ყველაზე კარგი რაცაა, შემოდის თანამედროვე ფიზიკის ელემენტები, ასევე კოსმოლოგია. ვფიქრობ, გაცილებით მეტი მოსწავლე დაინტერესდება მისი შესწავლით.

ამ მისიის პირველი ნაბიჯი 10 აპრილს, ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში წარდგენილი პრეზენტაციით გადავდგი. სადაც კიდევ მეტი დახმარება აღმომიჩინა ბატონმა ალექსი მესტირიშვილმა, რომელიც CERN-იდან ჩაგვეერთო. არ დამავინყდება ჩემი მოსწავლეების აკტივობის თვალეები ამ დიდი მეცნიერის პასუხების მოსმენისას. დიალოგი დაგვიმისი ნახევარი საათის ნაცვლად ორი საათი გაგრძელდა, ყველაზე მეტი კითხვა კი მე-9 კლასელმა მოსწავლემ ლიკა ჯინაშვილმა დასვა. თავი გამოიჩინეს მერვე კლასელმა მოსწავლეებმა - თამარ მამულაშვილმა, ნია ჯანყარაშვილმა და ინგა მჭედელაძემ.

-შეგვიჩვენეთ მეტი მოგვიხროთ იმ ქართველი მეცნიერების შესახებ, ვინც გამოგზაურათ „საოცრებათა სამყაროში“?

არ შემიძლია უდიდესი მადლიერებით და პატივისცემით არ მოვიხსენიო ჩვენი ქართველი მეცნიერები, უშუალოდ, თავმდაბალი, ჩვენი ანლტაყებით შევარულად მომდიმარნი. მათთან სალამოს ვახშმად არაფორმალური საუბარი ამ პროექტის კიდევ ერთი საჩუქარი იყო. ძალიან ბევრი

სასარგებლო რჩევა მოვისმინეთ, უფრო მეტი კითხვის დასმის საშუალება მოგვეცა თანამედროვე ფიზიკის მიმართულებით-სალექციო დროით არ ვიყავით შეზღუდულები. მადლობა მათ ამ ლამაზი, ინფორმაციული, საინტერესო დიალოგებისთვის.

ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მასწავლებელთა სახლს-ასეთი შესაძლებლობისთვის! პერსონალური მადლობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს, ბატონ ბერიკა შუკაკიძეს, ბატონ ნუგზარ მოსულიშვილს-რომელიც ამ პროექტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელია, ბატონ ზურაბ ბერიასა და ქალბატონ მაია ნაკაშიძეს.

გაზეთი „შორაქი“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ ბავშვები ნიშნ მასწავლებლის ცერნში ვიზიტს, რა შეცვალა ამ ვიზიტმა და როგორი იყო 10 აპრილის შეხვედრა?

ნია ჯანყარაშვილი, მოსწავლე:

„ფიზიკით ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი. ნიშნ მასწავლებლის ცერნში ვიზიტის შემდეგ ამ მოვლენამ არა მარტო ის, არამედ მისი მიდგომებიც შეცვალა. გაცილებით მეტი საინტერესო ფაქტს გვიყვება და მეტად გვინტერესებს მეცნიერების ამ დარგით. 10 აპრილის შეხვედრაზე ჩვენთვის საინტერესო იყო მეცნიერთან ჩართვა, სადაც დავსვით კითხვები და მივიღეთ პასუხები“.

ლიკა ჯინაშვილი, მოსწავლე:

„ფიზიკა ყოველთვის მიზიდავდა, მანამდეც, ვიდრე ნიშნ მასწავლებელი ცერნში წავიდოდა. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ კი ბევრ საინტერესო ფაქტზე გვესაუბრა, მათ შორის იმაზეც, რომ სწორედ ცერნში შეიქმნა ინტერნეტი და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. 10 აპრილს კი ჩვენ, მოსწავლეებს მოგვეცა უნიკალური შესაძლებლობა, შევხვედროდით მეცნიერს და პირისპირ მისთვის დავგვესვა კითხვები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. მეცნიერმა ყოველგვარი ფორმალობის გარეშე გაგვცა პასუხები ჩვენთვის გასაგებ ენაზე. ეს ფაქტი ჩვენთვის საინტერესო და ემოციური იყო“.

ინგა შიოლაშვილი

ფრენბურთელები უმაღლეს ლიგაში დედოფლისწყაროს გუნდი პირველი ლიგის ჩემპიონია

დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდმა „ისტაიდი“ საქართველოს პირველი ლიგის თასი მოიგო, ისტორიული შედეგი დააფიქსირა და ჩემპიონი გახდა. ფრენბურთელები უპრეცედენტოდ დანიშნურდნენ, თუმცა უმაღლეს ლიგაში საასპარეზოდ გადაამწყვეტი მატჩი რჩება. 10 აპრილს დასრულდა პირველი ლიგის ჩემპიონატი ფრენბურთში, შედეგები ასეთია: I ადგილი - დედოფლისწყარო; II ადგილი - თორი; III ადგილი - ფენიქსი.



თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილეებთან, გელა სამუკაშვილთან და მალხაზ მერაბიშვილთან ერთად დაესწრო.

გიორგი კოძიაშვილი (გუნდის კაპიტანი): „თამაში ნამდვილად ძალიან დაძაბული იყო, ფინალისთვის შესაფერისი. ამ ყველაფერზე დიდ ზეგავლენას ახდენდა მაყურებელი, რომელიც ამხნევებდა რჩეულ გუნდებს. მადლიერი ვარ ყველა გულშემმატყვივის და ქომაგის, რომელიც გულით განიცდიდა თითოეულ ჩვენს ქულას. ასევე მადლობას ვუხდით მერიას ჩამოსვლისთვის და გვერდში დგომისთვის. რაც შეეხება გუნდს, ვიტყვი რომ თითოეული ჩვენგანი ყოველდღე შრომობდა, არ იშურებდა დროს და ენერჯიას იმისთვის, რომ ამ შედეგამდე მივსულიყავით. მართლა ყველაფერი ჩავდეთ, თავდაუზოგავად ვიშრომეთ და შევძელით კიდევ შედეგი მოგვემკა“.

თორნიკე ოჯაბთიაშვილი: „თამაში საკმაოდ დაძაბული გამოვიდა, რასაც რა თქმა უნდა, ველოდით. როგორც მათ, ასევე ჩვენც, უდიდესი მოტივაცია გვექონდა ამ თამაშის მოსაგებად. ძლიერი მეტოქე იყო და შეიძლება ითქვას, რომ ღირსეული წინააღმდეგობა გაგვინია. მიუხედავად იმისა, რომ წინა ორი თამაში წაგებული გვექონდა, ფინალში თამაშისას არცერთ ჩვენს მოთამაშეს არ უფიქრია, რომ შეიძლება ეს თამაში წაგვეგო. ერთი ნაბიჯი არ დაგვიშვა ეს. უდიდესი მადლობა ჩვენს გულშემმატყვიერებს, ვინც დაესწრო თამაშს“.

და ვინც თვალს ეკრანებიდან გვადევნებდა. ეს გამარჯვება უფრო დიდ მოტივაციას ნიშნავს უმაღლესში ღირსეულად ასპარეზობისთვის. რა თქმა უნდა, დაფიქსირებული შედეგი ჩვენი რაიონისთვის უპრეცედენტოა, რადგან პირველი ლიგა ამ დრომდე დედოფლისწყაროდან არავის ჰქონდა მოგებული. შემდეგ ეტაპს რაც შეეხება, ამ გამარჯვებით ჩვენი გუნდი უმაღლესში ადის, სადაც უფრო ძლიერ გუნდებთან მოგვინევს თამაში. სათანადო მომზადებას რაც შეეხება, პირველ ეტაპზე, სამწუხაროდ, დარბაზის პრობლემა ექონდა, რადგან საკმაოდ ძვირი ჯდება მოგზაობა. შემდეგ მერიამ გამოგვიყო გარკვეული თანხა, რითაც მოვახერხეთ ვარჯიშის დაწყება და შესაბამისი შედეგიც დაიღო. ამიტომ მადლობა დედოფლისწყაროს მერიას განუვლი თანადგომისთვის“.

ნიკოლოზ ჯინაშვილი: „დავინყებ იმით, რომ ყველამ კარგად ითამაშა და ამისთვის ბიჭები შექებას იმსახურებენ. დამსწრე საზოგადოებას ჩვენ კარგი და ლამაზი თამაში შევთავაზეთ. რაც შეეხება მეტოქეს, კარგი და ტექნიკური მოთამაშეები არიან, მაგრამ ჩვენი გუნდი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ეს ძალიან კარგი გამოდგინარეობს ვარჯიშებიდან და მიღებული გამოცდილებიდან. ეს ყველაფერი არ იქნებოდა რომ არა დედოფლისწყაროს მერიის მხარში დგომა, როგორც მორალურად ასევე ფინანსურად.“

/დასასრული ბოლო გვერდზე/

ფრანგურთილები უმაღლეს ლიგაში

დედოფლისწყაროს გუნდი პირველი ლიგის ჩემპიონია

მეშვიდე გვერდიდან/

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, იმის დასამტკიცებლად, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშს ვიმსახურებდით და რომ იქ ღირსეულად მოხვდით. ჩვენმა გუნდმა თითქმის ყველა ტექნიკურ საკითხში, ასევე საერთო ძალაშიც აჯობა მეტოქეს. უკეთესი დაცვა გვექონდა და მეტად აგრესიული შეტევაც. ეს ყველაფერი კი სწორედ მონდომების და ნაყოფიერი ვარჯიშის, სათანადო მომზადების დამსახურებაა. როგორც მოგვხსენებთ, ამ გამარჯვებით არაფერი დასრულებულა. წინ უმაღლესი ლიგის შესარჩევი თამაში გველოდება. ჯერ არ არის გარკვეული ვინ იქნება ჩვენი მეტოქე, მაგრამ ყველა ახალი ინფორმაცია ჩვენს ფეისბუქ გვერდზე დაიდება. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს თითოეულ გულშემატკივარს, ვინც ფინალზე და მთელი სეზონის განმავლობაში გვერდით გვედგა და გვაძენებდა. ეს ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. რაც ჩვენი გუნდი ფრენბურთს თამაშობს, ჩემპიონატების უმრავლესობაში ფინალში გავსულვართ, როგორც პატარა ასაკში, ისე შემდგომშიც, მაგრამ ყველა ფინალს ვაგებდით ხოლმე. ეს კი ჩვენს ისტორიაში პირველი ოფიციალური გამარჯვებაა ფინალში და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს განცდა. პირველი ადგილის მოპოვება გუნდისთვის ბევრს ნიშნავს. ვერც წარმოიდგენთ და რთულია გადმოვიცე, როგორ ემოციებში ვიყავით მთელი გუნდი, როცა მოვიგეთ. ამავდროულად უნდა ითქვას ისიც, რომ პროფესიონალური გუნდი რაიონს გუნდურ სპორტში არ ჰყავს და ნამდვილად სასიხარულოა, როცა დედოფლისწყაროს სახელით ამ დონეზე თამაშის საშუალება მოგვეცა. ძალიან ამაყები ვართ, რომ მალე დედოფლისწყაროში პირველი ლიგის ჩემპიონატის თასს საზეიმო ვითარებაში ჩამოვიტანთ“.

გიორგი ცისპარული (კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის მოადგილე სპორტის საკითხებში): „პირველი ლიგის ჩემპიონატის მოგება და უმაღლეს ლიგაში გადასვლა მნიშვნელოვანი ფაქტია და დიდი სიხარული მოგვანიჭეს. გასულ წლებ-

შიც თამაშობდნენ ლიგაში, თუმცა წარმატებებს ვერ აღწევდნენ. შარშან მეორე ადგილზე გავიდნენ. შემდეგ ერთ-ერთი ნამყვანი სპორტსმენი გამოეთიშა და თავის მხრივ პირველი ლიგა საკმაოდ პრესტიჟულია და მასში გამარჯვებული გუნდი ყოველთვის უმაღლეს ლიგაში გადადის. ახლა უკვე უმაღლეს ლიგაშიც ასე წარმატებით უნდა იბრძოლონ და თავი დაიმიკვიდრონ. ჩვენი გუნდი თავიდან პირველ ოთხეულში მოხვდა, მეოთხე ადგილზე იყვნენ. ნახევარფინალშიც დამაჯერებლად გაანადგურეს მეტოქე. იბრძოლეს და ფინალში მოხვდნენ, სადაც თორი დაამარცხეს. ამ გუნდს მესამედ შეხვდნენ და წინა შემთხვევებში 3-2-ს ამარცხებდნენ, ახლა კი 3-1 ჩვენებმა სძლიეს. ამ გამარჯვებით გამოჩნდა, რომ ჩვენმა ფრენბურთელებმა და მათმა მწვრთნელმა აბო მენურიშვილმა თავი არ დაზოგეს, ბოლომდე იბრძოლეს და ძლიერი თამაშები ჩაატარეს. ეს შედეგი დიდი შრომის შედეგია, ძალიან ყოჩაღი ბიჭები არიან. ვხედავდი, როგორი შემართებით ემზადებოდნენ და გვიან ღამემდე შრომობდნენ. უმაღლეს ლიგაში გადასვლა ბიჭებს მეტ მოტივაციას და სიხარულს შესძენს. ფრენბურთის გუნდს ეს წარმატება და პოპულარობა ნამდვილად სჭირდება. გულშემატკივარიც ბევრი ჰყავდა, დარბაზში თბილისში მცხოვრები დედოფლისწყაროელიც ბევრი ესწრებოდა, დედოფლისწყაროდანაც წავიდნენ. მეტი მოტივაციაა, როცა მუნიციპალიტეტის



მერი პირადად გამხსენებს. გუნდის ნამყვანი წევრების მოტივაცია თამაშის დაწყებამდეც ვიციოდი და დარწმუნებული იყვნენ, რომ გამარჯვებდნენ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხერხდა გუნდის შექმნა. მოგვხსენებთ, ყველა მოთამაშე სტუდენტია და თბილისში არიან. დედოფლისწყაროში მხოლოდ არდადეგებზე ჩამოდიან და აქ ვარჯიშობენ. სხვა შემთხვევებში სპეციალურად სავარჯიშოდ ჩამოსვლა უნევთ. ამიტომაც მერიამ მათთვის თბილისში დარბაზის დაქირავების დაფინანსება გამოყო და მიეცათ შესაძლებლობა, დედაქალაქში მოემზადონ. ახალი ბურთებიც შეეუძინეთ და პირობებს არ უჩივიან. შეცდომებისა და საკუთარი მიწისუბის აღმოფხვრაზე მუშაობენ, რაც წარმატების მომტანი გახდება. უმაღლეს ლიგაში გამარჯვება ძალიან რთულია, თუმცა არა შეუძლებელი!..

ილია მარტყოფლიშვილი

2024 წლის 5 აპრილს დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის წევრებმა გამოცხადებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტის ავტორებს გადასცეს კუთვნილი თანხა. დაფინანსდა სამი პროექტი: სოფელ ზემო მაჩხანის საჯარო სკოლა და ორი პროექტი ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლამ მოიგო. ისინი მალე დაიწყებენ პროექტების განხორციელებას. ყველას ვუსურვებთ წარმატებებს!

ახალგაზრდული იდეის პროექტში გამარჯვებულები



ულოცავენ! ბაბულია ხატიაშვილს!



ჩვენი დიდი ოჯახის უხუცესო დასახლისო და ბურჯო, სიყვარულით გილოცავთ დაბადების 95-ე საიუბილეო თარიღს. გვინდა, დიდხანს გვყავდეთ ჯანმრთელი და გახარებული.

დიდი სიყვარულით შვილები: ალბერტი და ციალა, რძლები: ცისმარი, ნინო, გულო, თონა, სოფო და ანა; სძიებები: თენგიზი, გოჩა და გიორგი; შვილიშვილები: ხათუნა, დათო, რამაზი, ბაჩო, შორენა; შვილთაშვილები: ირაკლი, ლევანი, გვანცა, ცოტნე, გოგა, მარიამი, ელისაბედი, ბარბარე, ლაზარე, ნიკოლოზი; შვილთაშვილის შვილები: ნინა, დათი და ნიკო.

ქალბატონ ბაბულია ხატიაშვილს ვულოცავთ დაბადების 95-ე საიუბილეო თარიღს. ასაკის მიუხედავად, ყველასთვის დიდი იმედი და საყრდენია. ვუსურვებთ, რომ კვლავ ასეთი ენერგიული და ხალისიანი ყოფილიყოს თავისი საყვარელი დიდი ოჯახისათვის.

პატივისცემით: **თამილა ნადირაშვილი** ოჯახით

გადლობა!

შეუძლოდ გავხდი, მომატებული მექონდა წნევა, 7 აპრილს საჭირო გახდა სასწრაფოს გამოძახება. მირჩიეს დედოფლისწყაროს საავადმყოფოში გადაყვანა. მიმღებში დამხვდა ექიმი იბა შანაშვილი, რომელმაც ჩემი გამოჯანმრთელებისთვის არ დაიშურა ყურადღება და ენერგია. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვისა და გულისხმიერებისთვის. მადლობა ხათუნა აბლაძის, ვანო ნატროშვილს, იამაზა ბაღაშვილს, ეთიარ ღათუაშვილს, ყველა ექიმს და სანიტარს დიდი გულისხმიერებისთვისა და სისუფთავისთვის, რომელიც საავადმყოფოში სუფევს. ვუსურვებთ, ყოველთვის იდგნენ ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

პატივისცემით, ფატი და ლუიზა ზურაშვილები, ნელი ქანჭაძე, ზურა ქანჭაძე, მარი მარტყოფლიშვილი, ვასიკო ჯაგოფნიშვილი, ნინა სუჭუა ოჯახებით.

იყიდება!

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო ბინა ბელეტაჟზე, აგურის სახლი 170მ². მეტალოკარამიტის გადახურვით. მეტალოპლასმასის ფანჯრებით, რკინის კარით, ჭერზე გიფსოკარდონით. სამზარეულო, ვანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით, ცივი და ცხელი წყლით, გათბობით, ყველაფერი სულ ახალი გაკეთებული და გარემონტებულია. ფასი 34 700 \$. ტელ: 595 32 47 61

ამინდი		დედოფლისწყარო		პარასკევი		შაბათი		კვირა	
ორშაბათი 15.04	სამშაბათი 16.04	ოთხშაბათი 17.04	ხუთშაბათი 18.04	პარასკევი 19.04	შაბათი 20.04	კვირა 21.04			
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
20°	12°	22°	10°	26°	12°	27°	15°	28°	17°
								27°	16°
								22°	13°

გამომცემელი შპს „შირაქი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათია ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინა ზნანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანჭაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში – 20 ლარი